ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციათა მოსაზრებები საარჩევნო გარემოს სრულყოფასთან დაკავშირებით

<u>თბილისი, 2011 წლის 2 მაისი</u>

ოთხი ორგანიზაცია – „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და „ახალი თაობა – ახალი ინიციატივა“ – ყურადღებით ვაკვიდრებით საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესებაზე მომუშავე მრავალპარტიული ჯგუფის მოლაპარაკების პროცესს[1]. ამ პროცესის გაჭიანურების ფონზე, გვინდა ჩვენი მოსაზრებები წარვუდგინოთ საზოგადოებას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლთა მოგვარებაც, ჩვენი აზრით, საარჩვენო გარემოს სრულყოფის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ჩვენ ვთვლით, რომ აქ წარმოდგენილი რეკომენდაციები კომპლექსურად უნდა იყოს განხილული, რადგან ამ პრობლემების მხოლოდ ნაწილის მოგვარება ვერ უზრუნველყოფს სამართლიანი და კონკურენტუნარიანი საარჩევნო გარემოს შექმნას ქვეყანაში. აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ აქ განხილული საკითხების გადაწყვეტა, ნაწილობრივ, კანონმდებლობის სრულყოფას საჭიროებს, თუმცა რეკომენდაციათა გარკვეული ნაწილი კანონის აღსრულებასთანაა დაკავშირებული და, დიდწილად, პოლიტიკური ნების არსებობას უკავშირდება. ეს საკითხებია:

1. **ამომრჩეველთა სია:**

- ✓ **ამომრჩეველთა სიის ფორმირებაში მონაწილე მონაცემთა ბაზების ერთმანეთთან თავსებადობა;**

[1] 2010 წლის ნოემბერში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით შეიქმნა საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესებაზე მომუშავე მრავალპარტიული ჯგუფი, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრაზე მუშაობს.

- ✓ **ამომრჩეველთა სიის შედგენაზე პასუხისმგებლობის ერთი კონკრეტული უწყებისთვის დაკისრება.**

აუცილებელია, რომ ამომრჩეველთა სია მუდმივად ხელმისაწვდომი იყოს სიებზე პასუხისმგებელი ორგანოს ვებგვერდზე და დაინტერესებულ პირებს (მათ შორის, პოლიტიკური პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს) ნებისმიერ დროს ჰქონდეთ მათი გადამოწმების შესაძლებლობა. ეს დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას მისცემს სიებში უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში მოითხოვონ ამ უზუსტობების შესწორება. გარდა ამისა, დასახვეწია სიებში შესწორებების შეტანის პროცედურაც. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, მისი დახვეწის შემდეგ, ეს პროცედურა საზოგადოებას უნდა გააცნოს, რათა ამომრჩეველმა ზუსტად იცოდეს, რა ფორმით უნდა მოითხოვოს სიაში ცვლილების შეტანა.

დღესდღეობით, ცენტრალური საარჩევნო კომისია ამომრჩევლებს არეგისტრირებს იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რასაც მას სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები აწვდიან, რაც საჭიროებს დამატებით შრომას ცესკოს მხრიდან და ამასთანავე ხშირია უზუსტობები, რადგან სხვადასხვა უწყებები მონაცემებს სხვადასხვა ფორმატში აწვდიან. აუცილებელია, რომ მონაცემები ერთიან ფორმატში მიეწოდებოდეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რათა თავიდან იქნეს აცილებული უზუსტობები.

პრესრელიზის სრული ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ აქ.

ასევე, მთავრობამ ამომრჩეველთა სიის განკარგვა სამოქალაქო რეესტრის პასუხისმგებლობაში უნდა მოაქციოს. ბოლო წლებში მონაცემთა შეგროვებისა და განკარგვის კუთხით სამოქალაქო რეესტრი ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სახელმწიფო უწყება. ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის ამომრჩეველთა შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში სამოქალაქო რეესტრის წვლილი ყველაზე დიდია.

2. **საარჩევნო სისტემა:**

- ✓ **პარტიის მიერ მიღებული ხმებისა და მის მიერ პარლამენტში მოპოვებული მანდატების ერთმანეთთან პროპორციულობა;**
- ✓ **მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის მანდატების სამართლიანი განაწილება;**
- ✓ **ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების პირდაპირი წესით არჩევის შესაძლებლობა**

მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მაჟორიტარი დეპუტატების არჩევის წესი იძენს. დღეს არსებული სისტემა, ერთის მხრივ, არასამართლიანად ანაწილებს მანდატების რაოდენობას საარჩევნო ოლქების მიხედვით და,

მეორეს მხრივ, ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული პარტიის მიერ მიღებული ხმებისა და მის მიერ პარლამენტში მოპოვებული მანდატების პროპორციულობას.

მანდატების არასამართლიანად განაწილების ნათელი გამოხატულებაა, მაგალითად, ლენტეხისა და ქუთაისის შემთხვევა. დღევანდელი სისტემით ლენტეხს, რომლის ამომრჩეველთა რაოდენობა 6.000-ია და ქუთაისს, რომლის ამომრჩეველთა რაოდენობა 158.000-ია ერთნაირი რაოდენობის – ერთი – მაჟორიტარი დეპუტატი ჰყავთ. შესაბამისად, ლენტეხელი ამომრჩევლის ხმას 26-ჯერ მეტი წონა აქვს, ვიდრე ქუთაისელისას. საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულის ამომრჩევლების ხმებს შორის სხვაობა 15-20%-ს არ უნდა აღემატებოდეს. საქართველოში ეს ციფრი, საკმაოდ ხშირად, 100%-ს აღემატება.

პარტიის მიერ მიღებულ ხმებისა და მოპოვებულ მანდატების თანაფარდობას რაც შეეხება, არსებული სისტემით თუ, მაგალითად, კონკრეტული პარტია პროპორციული სისტემით მიიღებს ხმების 35%-ს, ხოლო მაჟორიტარული სისტემით ყველა რაიონში მისი კანდიდატი გაიმარჯვებს, ის პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით მოვა (მაჟორიტარული სისტემით გამარჯვებისათვის საჭიროა თითოეულ ოლქში არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს შორის ყველაზე მეტი ხმის დაგროვება და არჩევნებზე მოსული ამომრჩევლების ხმათა არანაკლებ 30%-ის მოპოვება) ანუ, მაშინაც კი, როცა პარტიას საერთო ჯამში ამომრჩეველთა 30-35% უჭერს მხარს ,,პარლამენტში მას საკონსტიტუციო უმრავლესობის დაკომპლექტების შესაძლებლობა აქვს.

სამწუხაროა, რომ 2009 წელს პრეზიდენტის მიერ გაეროში გაკეთებული განცხადების მიუხედავად, სადაც მან თქვა, რომ ყველა ქალაქის მერი პირდაპირი წესით აირჩეოდა, 2010 წლის ადგილობრივი არჩევნებისას თბილისის გარდა ყველა სხვა ქალაქის მერი საკრებულოებმა დანიშნეს. საქართველოს მოქალაქეებს არც გამგებლების პირდაპირი წესით არჩევის შესაძლებლობა აქვთ. ამ დროს ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემების მოგვარება, პირველ რიგში, სწორედ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების კომპეტენციაში შედის.

3. საარჩევნო ადმინისტრაცია:

- ✓ **ცენტრალური საარჩევნო კომისიის მაქსიმალურად გამჭვირვალედ დაკომპლექტება;**
- ✓ **საარჩევნო კომისიის მიმართ ნდობის გაზრდა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების ხმათა 2/3-ით მიღების გზით;**
- ✓ **საარჩევნო კომისიის წევრობაზე უარის თქმა იმ ადამიანებისათვის, რომელთა მიერ, წინა არჩევნების დროს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა დადასტურდა.**

საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი ყველა არჩევნების წინ დავის საგანი ხდება. დღესდღეობით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის საკითხი პოლიტიზირებულია და ამის მიზეზი პარლამენტში ერთი პარტიის დომინირებაა. კომისიის 13 წევრიდან, შვიდი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომაგდენელია, ხოლო დანარჩენი ექვსი პრეზიდენტის მიერ წარდგნილი სიიდან პარლამენტის მიერაა დამტკიცებული. არასამთავრობო ორგანიზაციები უპირატესობას პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებულ საარჩევნო ადმინისტრაციას ვანიჭებთ, თუმცა დღეს არსებული სისტემა დახვეწას საჭიროებს.

ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი დასაწყისშივე გამჭვირვალე უნდა იყოს რაც პირველ რიგში პრეზიდენტის მიერ პარლამენტისთვის კანდიდატების წარდგენის პროცესს ეხება. ამისთვის აუცილებელია, რომ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია (ა) ყველა იმ კანდიდატის შესახებ, რომლებიც პრეზიდენტის ადმინისტრაციას თავიანთ კანდიდატურებს წარუდგენენ (მაგალითად, მათი სია და ბიოგრაფიები უნდა განთავსდეს პრეზიდენტის ვებგვერდზე), (ბ) იმ კომისიის წევრების შესახებ, რომლებიც, პრეზიდენტის დავალებით, ამ კანდიდატებს შორის საუკეთესოებს არჩევენ და (გ) იმ კრიტერიუმების შესახებ, რომელთა საფუძველზეც შეარჩევენ კომისიის წევრები ამ საუკეთესო კანდიდატებს. საზოგადოებამ ზუსტად უნდა იცოდეს, თუ რითი ჯობდნენ შერჩეული კანდიდატები დანარჩენებს.

გარდა ამისა, საარჩევნო ადმინისტრაციის და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ მაღალი ნდობის უზრუნველყოფისთვის სასურველია, რომ პარლამენტი მას 2/3-ის უმრავლესობით ამტკიცებდეს და თავად ცენტრალური საარჩევნო კომისიაც მნიშვნელოვან (მაგალითად, ქვედა დონის კომისიების დაკომპლექტება, შემაჯამებელი ოქმების დამტკიცება, საჩივრების განხილვისას გადაწყვეტილებების მიღება და ა.შ.) გადაწყვეტილებებს ხმათა 2/3-ის უმრავლესობით ამტკიცებდეს.

ქვედა დონის საარჩევნო კომისიებს რაც შეეხება, ისევე როგორც წარსულში, არასამთავრობო ორგანიზაციები ახლაც მოვუწოდებთ ხელისუფლებას და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში აღარ მოხვდნენ ის პირები, რომლებზეც სადამკვირვებლო არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მნიშვნელოვანი გადაცდომებისა და დარღვევების გამო, წინა არჩევნების დროს არაერთი საჩივარი მოამზადეს. არასამთავრობო ორგანიზაციები მზად ვართ ეს სია, დეტალური ინფორმაციით, კვლავ მივაწოდოთ ხელისუფლებას და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

4. **ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის:**

- ✓ **მკაფიო ზღვრის გავლება მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიასა და ხელისუფლების საქმიანობას შორის;**

- ✓ **წინასაარჩევნო კამპანიაში საჯარო მოხელეების მონაწილეობის შეზღუდვა.**

ბოლო რამდენიმე არჩევნებისას პერიოდში წინასაარჩევნო პერიოდში ხშირად იკვეთება ადმინისტრაციული რესურსების წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის გამოყენების პრობლემა. ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებში არაერთხელ თქმულა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიასა და ხელისუფლების საქმიანობას შორის ზღვარი მოშლილი იყო. 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების დროს, იმის ნაცვლად, რომ კანონით შეეზღუდა საჯარო მოხელეების წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართვა, მმართველი პარტია სხვა გზით წავიდა – 1000-ზე მეტმა საჯარო მოხელემ წინასაარჩევნო პერიოდში შვებულება აიღო[2] და მმართველი პარტიის მხარდასაჭერ საარჩევნო კამპანიაში აქტიურად ჩაერთო. მართალია, საჯარო მოხელეები შვებულებებში კანონის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით გავიდნენ, თუმცა ამან მაინც მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნა, კერძოდ 1. შვებულებაში მყოფი თანამდებობის პირები კვლავ იყენებდნენ სამსახურის რესურსებს; 2. შვებულებაში გასული ათეულობით საჯარო მოხელე აფერხებდა საჯარო დაწესებულებების ეფექტიან ფუნქციონირებას; 3. მიუხედავად შვებულებაში ყოფნისა, მათ ადგილობრივი მოსახლეობა მაინც თანამდებობის პირებად აღიქვამდა და მმართველ პარტიასა და ხელისუფლებას შორის არსებული ზღვარი მთლიანად იყო წაშლილი.

ადმინისტრაციული რესურსების წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის გამოყენების კუთხით არაერთი პრობლემა არსებობს და ამ საკითხზე სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებში დეტალური ინფორმაციაა წარმოდგენილი. საერთო სურათი ის არის, რომ საქართველოს კანონმდებლობა და არსებული პრაქტიკა ამ კუთხით საერთაშორისო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს და საარჩევნო სუბიექტებს თავიდანვე არათანაბარ პირობებში აყენებს.

.

5. **უწყებათაშორისი ჯგუფი:**

- ✓ **ჯგუფის მუშაობის ეფექტურობის გაზრდა.**

წინა არჩევნების პერიოდში სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ გამოვლენილ ხარვეზებსა და დარღვევებზე რეაგირების პასუხისმგებლობა თავის თავზე არჩევნების სამართლიანად ჩატარების უზრუნველყოფისთვის შექმნილმა უწყებათაშორისმა ჯგუფმა[3] აიღო. ჯგუფი

[2] საქართველოს საარჩევნო კოდექსი საჯარო მოხელეებს უშუალოდ სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობას უკრძალავს.

[3] უწყებათაშორისი ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა სამინისტროების მაღალჩინოსნებისგანაა დაკომპლექტებული, პირველად 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების წინ შეიქმნა. შემდეგ მან მუშაობა განაგრძო

სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან რეგულარულ შეხვედრებს მართავდა და ბოლო არჩევნების დროს მათ მიერ მომზადებულ ანგარიშებს წერილობითაც პასუხობდა. სამწუხაროდ, უწყებათაშორისი ჯგუფი ყოველთვის ვერ ახერხებდა საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებული გამოძიების დროულად დასრულებას და დამრღვევების სათანადოდ დასჯის უზრუნველყოფას. ხშირი იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ გამოვლენილი პრობლემების განხილვისას ჯგუფი კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას აქცენტს უფრო მის ფორმალურ მხარეზე აკეთებდა, ვიდრე – არსსა და მიზანზე. შედეგად, ამ პრობლემების გამოსწორება ვერ ხერხდებოდა.

ამის გათვალისწინებით და თუ ხელისუფლება ისევ გეგმავს, რომ 2012 და 2013 წლის არჩევნების დროს მსგავსი უწყებათაშორისი ჯგუფი კვლავ იყოს ჩართული არჩევნების სამართლიანად ჩატარების უზრუნველყოფაში, მნიშვნელოვანია, რომ დროულად დაიწყოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გაიზარდოს ჯგუფის ეფექტიანობა.

მნიშვნელოვანია, რომ უწყებათაშორისმა ჯგუფმა (ა) უფრო დროულად მოახდინოს დარღვევებზე რეაგირება (მითუმეტეს, რომ ის მაღალი თანამდებობის პირებით არის დაკომპლექტებული), (ბ) ამის და ზოგადად, ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს არამხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციას და საერთაშორისო საზოგადოებას, არამედ საქართველოს მოქალაქეებს, და (გ) ჯგუფს ჰქონდეს აქტიური კონტაქტი არჩევნებში ჩართულ სხვადასხვა ჯგუფებთან, მათ შორის, საარჩევნო სუბიექტებთან. ასევე მნიშვნელოვანია შემუშავდეს იმ პირების დასაცავი მექანიზმები, რომლებიც არჩევნებისას დარღვევების შესახებ აცნობებენ სათანადო სამსახურებს.

6. დარღვევების გამოძიება:

- ✓ **წინა არჩევნების დროს გამოვლენილ დარღვევათა დროული გამოძიება;**
- ✓ **საზოგადოების ინფორმირება დამრღვევთა მიმართ განხორციელებულ პასუხისმგებლობის ზომებზე.**

არჩევნების შეფასებისას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმოება იმას, თუ რა ზომებს იღებს ხელისუფლება და ცენტრალური საარჩევნო კომისია გამოვლენილი დარღვევების გამოძიებისა და აღკვეთისთვის. სამწუხაროდ, 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების დროს გამოვლენილი რამდენიმე დარღვევა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გამოძიებული. მომავალში მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის აუცილებელია, რომ წინა დარღვევების გამოძიება სრულყოფილად განხორციელდეს და მათი შედეგების შესახებ საზოგადოებას სრულყოფილი ინფორმაცია მიეწოდოს. ხელისუფლებამ, პოლიტიკურმა პარტიებმა, არასამთავრობო

2008 წლის მაისის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში და თავისი საქმიანობა 2010 წლის ადგილობრივი არჩევნებისას განაახლა. უწყებათაშორისი ჯგუფის შექმნის მთავარი მიზანი იყო, რაც შეიძლება გამჭვირვალე და სამართლიანი არჩევნების ჩატარება.

ორგანიზაციებმა და მედიამ მუდმივად უნდა ისაუბრონ იმაზე, თუ რა სანქციები არის დაწესებული სხვადასხვა სახის საარჩევნო დარღვევებისთვის. მათ უნდა ჰქონდეთ იმის შესაძლებლობა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებისას მოიტანონ კონკრეტული მაგალითები იმისა, თუ როგორ დაისაჯნენ წარსულში დარმღვევები. გამოძიება და სანქციები უნდა გატარდეს მიუკერძოებლობის უმაღლესი ხარისხით და უნდა მიიღწეს ბალანსი ეჭვმიტანილის უფლებების დაცვას, დროულ გამოძიებასა და დამნაშავის სამართლიანად დასჯას შორის.

7. **პოლიტიკური პარტიების დაფინანსება:**

- ✓ **პარტიების დაფინანსების კანონიერების კონტროლის უზრუნველყოფა.**

დღევანდელი მდგომარეობით არ არსებობს საჯარო უწყება, რომელსაც პოლიტიკური პარტიების დაფინანსების კანონიერების კონტროლი ევალება. გარდა ამისა, პარტიების ფინანსური ანგარიშგების სისტემა (მაგალითად, ფინანსური ანგარიშის ფორმა) ბევრ ხარვეზს შეიცავს და დაფინანსების წყაროებისა და ხარჯების სიღრმისეული ანალიზის შესაძლებლობას არ იძლევა.

იმის გათვალისწინებით, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებას არჩევნების შედეგებზე საკმაოდ დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია, აუცილებელია, რომ ამ კუთხით არსებული პრობლემები დროულად გამოსწორდეს და შეიქმნას პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიებისა და ყოველწლიური დაფინანსების საფუძვლიანად შემოწმების მექანიზმები.

ამ პრობლემის გადაჭრის არაერთი გზა არსებობს. ისინი დეტალურად არის განხილული ჩვენს მიერ მომზადებულ ანგარიშებში და მზად ვართ, აქტიურად ჩავერთოთ მათ გარშემო ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებში.

8. **ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში:**

- ✓ **საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შეზღუდვა არჩევნებამდე მცირე დროით ადრე.**

საარჩევნო პრობლემების გადაჭრა ხშირად საკანონმდებლო ცვლილებებთან არის დაკავშირებული. საქართველოში არც თუ იშვიათია შემთხვევები, როცა საკანონმდებლო ცვლილებები არჩევნებამდე ძალიან მოკლე პერიოდში ხორციელდება, რაც ზოგჯერ ახალ პრობლემებს წარმოშობს. ამის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურ პარტიებს, ხელისუფლებას, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ამ პროცესში ჩართულ სხვა მხარეებს შორის დროულად შედგეს შეთანხმება საარჩევნო კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ და რომ ეს ცვლილებები არჩევნებამდე მინიმუმ

6 თვით ადრე განხორციელდეს. ეს გარანტი იქნება იმისა, რომ ცვლილებები არა მოკლევადიანი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გატარდება, არამედ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებელი გარემოს შექმნას უზრუნველყოფს. ასევე, საარჩევნო ადმინისტრაციას, არჩევნებზე დამკვირვებელ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ხელისუფლებას და არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს მეტი დრო ექნებათ არჩევნებისთვის მოსამზადებლად.

ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ხელისუფლება და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მომუშავე ყველა პოლიტიკური პარტია მაღალი პასუხისმგებლობით მოეკიდება დაკისრებულ დავალებას და არც ერთ მნიშვნელოვან პრობლემას დატოვებს რეაგირების გარეშე.

ამ და სხვა საკითხებზე დეტალური რეკომენდაციები და პრობლემების მოგვარების გზები განხილულია ჩვენს მიერ მომზარებულ სხვადასხვა ანგარიშში, რომლებსაც ერთობლივი დოკუმენტის სახით დამატებით მივაწვდით დაინტერესებულ მხარეებს.

საკონტაქტო პირები:
ნანა ლობჟანიძე,
“საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს” კომუნიკაციების ოფიცერი
nana@transparency.ge
ტელ: 8 (32) 92 14 03

ლელა ტალიური,
“ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის” იურისტი
taliuri@gyla.ge
ტელ: 8 (32) 95 23 53

ნინო დოლიძე, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
pr@isfed.ge
ტელ: 8 77 72 07 30

მიხეილ დევდარიანი, „ახალი თაობა – ახალი ინიციატივის“ თავჯდომარე
m.devdariani@ngni.net
ტელ: 8 77 79 39 93